



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოხინჯრობა

კოხინჯრობა, კოხიჯვრობა, სეტყვა-კოხის საწინააღმდეგო სახალხო რელიგიური დღესასწაული. ცნობილი იყო საქართვე. თითქმის ყველა კუთხეში (სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, გურია, იმერეთი, ქართლი, კახეთი). კ-ის დღესასწაულზე ქალები ღვთის სადიდებლად დადიოდნენ, აგროვებდნენ საწირავს (პური, ფქვილი, კაკალი, ყველი, ზოგჯერ ფული) და „სალვთოს“ იხდიდნენ, რათა ნათესები ქარ-სეტყვას არ გაენადგურებინა. კ. დიდი უქმე იყო, ამ დღეს არ მუშაობდნენ, მიწას „არ შეანძრევდნენ“ იმის შიშით, რომ მოსავალი არ დასეტყვილიყო; არც თითისტარს დაატრიალებდნენ. გარდა ამისა, ყოველი ორშაბათი აღდგომიდან ამაღლებამდე ქარ-სეტყვის საწინააღმდეგოდ იყო შეწირული. ძველად, თბილისში, ბატიკის პერიოდში (აღდგომიდან ამაღლებამდე) ამქრები უქმობდნენ, რიგ-რიგობით „სალვთო“, ანუ ღვთისა და წმინდანებისადმი სამადლობელ-სავედრებელ სუფრას იხდიდნენ, „სალვთოს“ ნაწილს პატიმრებს, ქვრივ-ობლებს და ხეიბრებს უგზავნიდნენ. მათი შეხედულებით, ამ რიტუალის შესრულება მოსავალს სეტყვისა და კალიებისაგან დაიცავდა. კახეთში ამ დღეს „კოხიანობას“ უწოდებდნენ. ფრონეს ხეობაში (შიდა ქართლი) სოფ. დვანის სალოცავს ხალხი წმ. გიორგი კოხისჯვრისას უწოდებდა, სადაც „კოხიჯვრობის“ დღეობა იმართებოდა.

კ-ის ჩატარების კალენდარულ დღედ 7 მაისი (ძვ. სტ) ითვლებოდა, რ-იც საეკლ. ტრადიციით ჯვარჩინების დღეა. ხალხ. წარმოდგენებით, ამ დღეს მოსულ წვიმას სასწაულებრივი სამკურნალო და გამანაყოფიერებელი ძალა გააჩნდა.

ლიტ.: ა ბ ა კ ე ლ ი ა ნ., ა ლ ა ვ ე რ დ ა შ ვ ი ლ ი ქ., ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე ნ., ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1991; ა ლ ა ვ ე რ დ ა შ ვ ი ლ ი ქ., ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე ნ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული კულტურა,

თბ., 2018; მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., ფრონეს ხეობა, თბ., 1963.

გ. ჩინჩაღაძე
